ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N40

ქ.თბილისი

29 მარტი, 2019 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია	გულია გოცირიძე
ბექა დავითულიანი	ლევან დავითაშვილი
ლევან დარახველიძე	მარინა დათუკიშვილი
გოჩა თევდორაძე	ირაკლი ზარქუა
თევდორე ისაკაძე	ფრიდონ ინჯია
ლილე ლიპარტელიანი	ერეკლე კუხიანიძე
გიორგი მუსხელიშვილი	ნინო ლაცაბიძე
თინათინ ნიბლოშვილი	ქეთევან მამულაშვილი
ელენე ოზაშვილი	შალვა ოგბაიძე
დათო ჟღენტი	ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე	დათო რურუა
დავით უთმელიძე	თამარ ტალიაშვილი
თარაშ შურღაია	ვახტანგ შაქარიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	გიორგი ჩაკვეტაძე
დავით ჭელიძე	ლევან ხაბეიშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე საბა ფიფია;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანმა ისაუბრა რამდენიმე საკითხზე, რომლებიც, მისი თქმით, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა. კერძოდ: ტაქსების რეგულაციების შესახებ ინფორმაცია მძღოლებს მიაწოდეს ისე, თითქოს ვინმე არღვევს მათ უფლებებს. რეალურად კი, ტაქსების რეფორმის თანახმად, არსებობს A და B კატეგორიის ტაქსები, რომელთაგან A კატეგორიის ტაქსი არის თეთრი ფერის, ატარებს ტაქსის ნიშანს, მისთვის გამოყოფილია სპეციალური უფასო საპარკინგე სივრცეები. რაც შეეხება ავტომობილის თეთრ ფერად გადაღებვას, ეს რომ მძღოლებს არ დააწვეთ ფინანსურ ტვირთად, შეუძლიათ ტენდერში გამარჯვებულ სარეკლამო კომპანიას უფასოდ შეაღებინონ მანქანა, ავტომობილზე სარეკლამო ადგილის 2 წლით დათმობის სანაცვლოდ. ხოლო B კატეგორიის ტაქსი არ ატარებს ტაქსის ნიშანს და შესაძლებელია ავტომობილი იყოს ნებისმიერი ფერის. აქედან გამომდინარე, არავითარი დამატებითი ფინანსური ტვირთი არ აწვებათ მძღოლებს; ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, თითქოს მიცკევიჩის ქუჩაზე აშენდება 4 სართულიანი პარკინგი, არარეალური უწოდა, რადგან ამ ტერიტორიაზე აშენდება მიწისქვეშა პარკინგი. კომპანიას ჰქონდა სურვილი აეშენებინა 4 სართულიანი პარკინგი, რაზედაც გააკეთა განაცხადი, თუმცა შესაბამისი სამსახურებისგან მიიღო უარი.

მარინა დათუკიშვილმა ისაუბრა მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ გაყიდვის საფრთხე ემუქრება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს და დაინტერესდა, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს. აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხის მოსმენა სურს „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის ირაკლი თავართქილაძისგან, თუმცა რადგან ის არ იმყოფება მიმდინარე სხდომაზე, პასუხის გაცემა მოითოვა „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენლისგან და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილისგან. აქვე, მოითხოვა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა ფრაქციას მიაწოდოს მიმდინარე სხდომის ჩანაწერი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გიორგი ტყემალაძემ უპასუხა მარინა დათუკიშვილს, რომ მას არ სმენია მსგავსი ინფორმაცია, თუმცა შეუძლია დაადასტუროს ინფორმაცია, რომ ბიუჯეტში რამდენიმე მილიონი ლარია გათვალისწინებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სრული რეაბილიტაციისთვის და ეს პროცესი დაწყებულია.

თამარ ტალიაშვილმა დაადასტურა გიორგი ტყემალაძის სიტყვები და აღნიშნა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მიმდინარეობს მისი რეაბილიტაცია. აქვე განაცხადა, რომ გასულ წელს, როდესაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი იმყოფებოდა საკრებულოში, თამარ ტალიაშვილმა, თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა იმ მნიშვნელოვან პროექტზე, რომელიც განხორციელდებოდა 2019 წლით ბიუჯეტით და ის ეხებოდა სწორედ ამ ისტორიული ძეგლის რეაბილიტაციას.

ლევან ხაბეიშვილმა სხდომაზე წარადგინა მაკეტი, თუ როგორი პარკინგის მშენებლობის სურვილი ჰქონდა კომპანიას პეკინის ქუჩაზე, რომელიც ამბობდა, რომ ვერ განახორციელებდა მიწისქვეშა პარკინგის მოწყობას და ითხოვდა მიწის ზემოთ შენობა-ნაგებობის დადგმას, სადაც იქნებოდა 110 საპარკინგე ადგილი. ასევე, წარმოდგენილია კომპანია „ჯორჰიან უოთერ ენდ ფაუერის" განცხადება, რომლის მიხედვითაც, ორივე საკადასტრო კოდზე, სადაც უნდა მოეწყოს მიწისქვეშა პარკინგი, გადის წყალსადენის ქსელი და აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობა ტექნიკურად შეუძლებელია. მისი თქმით, დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად 100-მდე საპარკინგე ადგილია და საინტერესოა, კომპანიამ რატომ უნდა მოაწყოს მიწისქვეშა პარკინგი 110 ავტომობილზე, რაც არც თავად სურს და არც შეიძლება. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას ქონება გადაეცა 2017

წელს, ხოლო პარკინგის მოწყობის საკითხს განვიხილავთ დღეს, საინტერესოა, არსებობს თუ არა რაიმე ბერკეტი, რომ აღნიშნული არ გაგრძელდება თუნდაც 2025 წლამდე. აქვე, საკრებულოს თავმჯდომარისგან მოითხოვა დადასტურება, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმე სახის მიწისზედა სამუშაოები არ განხორციელდება. ლევან ხაბეიშვილმა ასევე ისაუბრა ტვერელის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობაზე, რომელშიც ჩართული იყო საზოგადოების დიდი ნაწილი. მისი თქმით, „კარგად ჟღერს", რომ საკითხი განიხილა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და მშენებლობაზე განაცხადა თანხმობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე არის ენერგეტიკოსი ილია ელოშვილი, ხოლო კომისიის ერთ-ერთი წევრია საკრებულოს წევრი რევაზ სოხაძე, რომელიც ყოფილი დეველოპერია და შესაბამისად, უფრო მეტად გაითვალისწინებს დეველოპერების ინტერესებს. მისი თქმით, საინტერესოა ისიც, თუ რატომ იცის ილია ელოშვილმა, რამდენ პროცენტიან მოგებას ნახულობს კომპანია აღნიშნული მშენებლობიდან. ტაქსების რეფორმის რეკლამაზე განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს გადაწყვეტილება ჯერ არ აქვს მიღებული, ტელეეთერით ამის რეკლამირება დედაქალაქის მერის და მერიის მხრიდან საკრებულოსთვის შეურაცხყოფის მიყენებაა და ითხოვა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, აღნიშნულთან დაკავშირებით, საჯაროდ დააფიქსირონ პოზიცია.

ბექა დავითულიანმა მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაზე განაცხადა, რომ მიწის ზევით არაფერი აშენდება. რაც შეეხება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წერილს, სადაც მითითებულია, რომ ამ ტერიტორაზე გადის მიწისქვეშა კომუნიკაციები და ამიტომ პარკინგის მოწყობა არის პრობლემა, განმარტა, რომ სწორედ ამ მიზეზით, შემცირდა საპარკინგე ადგილების რაოდენობა 110-მდე.

გიორგი ტყემალაძემ სხდომაზე წარადგინა საკრებულოს განკარგულება, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, კომპანიას მიწის ნაკვეთი გადაეცა „მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე", ხოლო მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი პროექტი არავითარ ცვლილებას არ გულისხმობს ამ პუნქტში. შესაბამისად, დაადასტურა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ ექნება იმ პირობის ცვლილებასთან, რომელიც ითვალისწინებს მიწისზედა მშენებლობას. გიორგი ტყემალაძემ ასევე, დაადასტურა ინფორმაცია, რომ კომპანიას ჰქონდა სურვილი და მოთხოვნა აეშენებინა მიწისზედა პარკინგი, რაზეც შესაბამისი სამსახურებისგან მიიღო უარი. ტაქსებთან დაკავშირებით ტელეეთერით წინასწარ გაკეთებულ რეკლამაზე აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაციის გაჟღერება, რა თქმა უნდა, ქმნის გარკვეულ უხერხულობას, თუმცა, ამის მიზეზი არის ის, რომ ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ინფორმირება. გიორგი ტყემალაძემ მიმართა მერიის შესაბამის სამსახურებს, რომ უკვე გადაწყვეტილ საკითხად არ მოიხსენიონ იმგვარი საკითხი, რომელზეც საკრებულოს გადაწყვეტილება არ ექნება მიღებული.

დავით უთმელიძემ მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისზედა კომერციული ან სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა დღეს არსებული დოკუმენტით არ აშენდება. მომავალში შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ სავენტილაციო სისტემა და ჩასასვლელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც დაიკავებს მცირე მონაკვეთს.

შალვა ოგბაიძის თქმით, ტაქსის რეფორმა ხელს შეუწყობს იმას, რომ ავტომობილები იყოს ტექნიკურად გამართული და სანიტარულად მოწესრიგებული. რაც შეეხება იმაზე აპელირებას, თითქოს თეთრი ფერის ავტომობილი უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე სხვა ფერის, განაცხადა, რომ ავტომობილს ფასს აკლებს არა ფერი, არამედ მისი გამოყენება ტაქსით მომსახურების სფეროში.

ირაკლი ზარქუამ მიმართა მარინა დათუკიშვილს, რომ ის „გახდა დეზინფორმაციის მსხვერპლი", რადგან მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გაყიდვასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია ისეთივე სიცრუეა, როგორიც პეკინის ქუჩაზე 4 სართულიანი

პარკინგის შესახებ ტელევიზიით გაჟღერებული ინფორმაცია. ირაკლი ზარქუას თქმით, სწორედ ასეთ ტიპის ინფორმაციას შეჰყავს საზოგადოება შეცდომაში და განაცხადა „ჩვენ ავაშენებთ მიწისქვეშა პარკინგებს და გავაკეთებთ ისე, რომ საზოგადოებრივი ინტერესი იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული". ისევე, როგორც ეს იყო ტაქსების რეგულაციის შემთხვევაში, რომელიც საზოგადოების დაკვეთაა და რომლის განხორციელებასაც მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წინასაარჩევნოდ.

მარინა დათუკიშვილმა მიმართა ირაკლი ზარქუას, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გაყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია გავრცელდა ბეჭდურ და ინტერნეტმედიაში, სადაც ნათქვამია, რომ ამ სასახლეს ყიდულობს ის ადამიანი, რომელსაც საკრებულომ 1 ლარად გადასცა პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორია და წინა მოწვევის საკრებულომ და მერიამ გააუქმა გუდიაშვილის გზა. სწორედ იმიტომ, რომ ვერაფერს გამორიცხავს, მოითხოვა მიმდინარე სხდომის ჩანაწერი. განაცხადა, რომ დასმულ შეკითხვაზე ვერ მიიღო პასუხი და იმედი გამოთქვა, რომ მიეცემა საშუალება პასუხი მიიღოს„ქონების მართვის სააგენტოსგან", რადგან აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობისთვის.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რადგან საკრებულომ ინვესტორს, მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის მიზნით, გადასცა არათუ გუდიაშვილის ქუჩა,არამედ, 2007 წელს საპარკინგედ რეგისტრირებული ტერიტორია. შესაბამისად, არასერიოზულია განცხადება, თითქოს ინვესტორს გადაეცა ქუჩის გარკვეული მონაკვეთი.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ „ფეიქ ნიუსი" სერიოზული პრობლემაა არა მხლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. მისი თქმით, სწორედ ამ ფორმით ებრძვიან დღევანდელ მუნიციპალიტეტს, რისი ნათელი მაგალითიცაა ის ფაქტობრივი მოცემულობები და სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელზეც ისაუბრა მარინა დათუკიშვილმა. განაცხადა, რომ მსგავსი ინფორმაციის გავრცელებას ხელი კი არ უნდა შევუწყოთ, არამედ პირიქით, უნდა ვებრძოლოთ და მოუწოდა როგორც საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს, ასევე უმრავლესობას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმონ მანამ, სანამ გაავრცელებენ. ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე წარადგინა ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია - „ექსკლუზივი: ბიძინა ივანიშვილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს ყიდულობს" და განაცხადა, რომ მარტივი მისახვედრია, თუ რა დონის სააგენტომ შეიძლება გაავრცელოს ინფორმაცია ამ ფორმით. მან ასევე, ისაუბრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შემადგენლობაზე და განაცხადა, რომ ძალიან კარგია, როდესაც პროცესში ჩართულები არიან მუნიციპალიტეტის მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის, მერის მოადგილე, რომელიც კურირებს მსგავს საკითხებს და საკრებულოს ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე.

რევაზ სოხაძემ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შემადგენლობაზე განაცხადა, რომ მისი და ილია ელოშვილის გარდა, კიდევ ხუთი წევრია, რომლებიც ამ სფეროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები არიან. კითხვაზე, თუ რატომ იცის ილია ელოსვილმა რამდენ პროცენტიან მოგებას ნახულობას ინვესტორი, აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ერთ-ერთ განსხვავება სწორედ ინვესტორებთან მიდგომაშია, რაც გამოიხატება იმით, რომ ინტენსივობის გადაჭარბება მოხდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომ კომპანიამ არ ნახოს არაგონივრული და ზედმეტი მოგება. მისი თქმით, ტვერელის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანები ცხოვრობდნენ გაუსაძლის მდგომარეობაში და საკითხის განხილვა მოხდა მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გათვალისწინებით. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ სამწუხაროა, როდესაც კოლეგები მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციით ცდილობენ ფონის შექმნას.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ტვერელის ეკლესია არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელსაც აქვს დაცვის ზონა, მათ შორის აღქმის და ფიზიკური და დაინტერესდა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში საკითხის განხილვისას, რომელი პარამეტრი

დაიცვა რევაზ სოხაძემ. მისი თქმით, საბჭოს ერთ-ერთი წევრი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე თანახმა იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დაირღვეოდა აღქმა, თუმცა დღეს იქ არსებული მდგომარეობით აღქმა დარღვეულია. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ არ გაითვალისწინეს იმ კონკრეტული ადამიანის მოსაზრება და თუ გაითვალისწინეს, მაშინ რატომ დათანხმდნენ აღნიშნული მშენებლობის განხორციელებას. ასევე საინტერესოა, რატომ იყენებს კერძო კომპანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწას და როგორ უნდა გაიყვანონ პროექტში მითითებული გზა რეკრეაციულ ზონაში. ლილე ლიპარტელიანის თქმით, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც საჯარო, ასევე კერძო ინტერესი, თუმცა, როდესაც საქმე ეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საჯარო ინტერესს. მან ასევე, ისაუბრა პეკინის ქუჩაზე მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის საკითხზე, აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, ამ ტერიტორიაზე 100-მდე ავტომობილის სადგომია და დაინტერესდა, რატომ ხარჯავს კომპანია 17 მილიონს იმის გათვალისწინებით, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წერილის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობა ტექნიკურად შეუძლებელია.

რევაზ სოხაძემ ლიპარტელიანს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მერიაში გაიმართა შეხვედრა ტვერელის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების და საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, სადაც მიღწეული იქნა გარკვეული შეთანხმება. მისი თქმით, როდესაც საუბარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არეალების დაცვაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიაზე იყო საცხოვრებელი სახლები. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ერთ-ერთი წევრის აზრი, განმარტა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს არა რომელიმე კონკრეტული წევრის რეკომენდაციის საფუძველზე, არამედ ხმათა უმრავლესობით.

ლევან ჟორჟოლიანმა მიცკევიჩის და პეკინის ქუჩების კვეთაზე მიწისქვეშა პარკინგის მოწყობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტერიტორიის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იქ არსებული კომუნიკაციების გამო, 150 საპარკინგე ადგილის ნაცვლად, მოეწყობა 110 საპარკინგე ადგილი. აღნიშნული რომ ყოფილიყო კომპანიისთვის რენტაბელური, მოეხსნება 1000 ლარიანი ყოველთვიური გადასახადი, მიწის ნაკვეთი გადაეცემა 1 ლარად იმ პირობით, რომ განახორციელებს 17 მილიონიან ინვესტიციას და ამასთანავე, საპარკინგე ადგილების გარდა, მიწისქვეშა ტერიტორიის 30% გათვალისწინებულია კომერციული დანიშნულებისთვის.

დათო ჟღენტმა აღნიშნა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კურატორი მოადგილისგან და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისგან მიიღეს დაპირება, რომ არ მოხდებოდა თანხის გაზრდა და ტაქსის მძღოლებს არ მოუწევდათ რაიმე სახის დამატებითი გადასახადის გადახდა. თუმცა, გადასახადები ყოველდღიურად იცვლება, რის გამოც ტაქსის მძღოლები აღმოჩნდნენ ცუდ მდგომარეობაში. მისი თქმით, გასაკვირი არაა, როდესაც რომელიმე ოპოზიციური პარტია დგას იმ საზოგადოების გვერდით, რომელიც გამოხატავს პროტესტს, ხოლო რაც შეეხება მმართველ პარტიას, მისი პირდაპირი მოვალეობაა იზრძოლოს ამ ადამიანების კეთილდღეობისთვის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება ეტაპობრივად, მოხდეს ამ ადამიანებთან კომუნიკაცია, რათა გავიგოთ მათი რეალური მდგომარეობა და ავუხსნათ, რას ემსახურება ის, რომ ტაქსი უნდა იყოს რომელიმე კონკეტული ერთი ფერი, თუნდაც თეთრი და რატომ არ ემლევათ შესაძლებლობა ტაქსით მომსახურების სერვისი მიაწოდონ საზოგადოებას ნებისმიერი ფერის ავტომობილით.

ირაკლი ზარქუამ მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 2018 წლის 5 აპრილის წერილის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციის მთავარი მილის გადატანა შეუძლებელია, ხოლო იმის განსაზღვრა, შესაძლებელია თუ არა პარკინგის მოწყობა, კომპანიის კომპეტენციაში არ შედის. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მიწისქვესა კომუნიკაციის გადატანა შეუძლებელია, საპარკინგე ადილები 150-დან შემცირდა 110-მდე.

თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა მარინა დათუკიშვილის კომენტარს, თითქოს მან ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია, რომ იგეგმება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გაყიდვა და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტში.

მარინა დათუკიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მან ითხოვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გაყიდვასთან დაკავშირებით პრესაში გავცელებული ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მარინა დათუკიშვილის კითხვაზე პასუხი გაცემულია იმ გადაწყვეტილებით, რომლითაც მილიონობით ლარი არის გამოყოფილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციისთვის და ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ საუბარია „ფეიკ ნიუსზე", რაც ყველა ქვეყანაშია და რომელსაც ზოგი ქვეყანა ებრძვის, ზოგი კი ბრძოლას არ თვლის საჭიროდ. მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ პასუხისმგებლობა სიცხადე შეიტანონ სხვადასხვა საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციაში. აღნიშნა, რომ წელს განხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია, რის შემდეგაც კიდევ უფრო კმაყოფილები იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული სასახლის სერვისით. მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაზე აღნიშნა, რომ ავტოსადგომების რაოდენობა შემცირდა სწორედ იმ მიზეზით, რომ შეუძლებელი იყო თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მასშტაბის პარკინგის მოწყობა. რაც შეეხება ტაქსების რეფორმას, განაცხადა, რომ მძღოლების უმრავლესობა კმაყოფილია, რადგან წარმოდგენილი რეგულაციები ხელს შეუწყობს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თეოდორე ისაკაძემ განაცხადა, რომ ტაქსების სფეროში რეგულაციების მიღება აუცილებელი იყო. ფასის მატებაზე, აღნიშნა, რომ გაუგებარია სად ჩანს ფასის მატება მაშინ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მძღოლებს უფასოდ გადაეცემათ ტაქსის მანათობელი ნიშანი, ქიმწმენდის ვაუჩერი და ასევე, უფასოდ ისარგებლებენ სპეციალურად ტაქსებისთვის გამოყოფილი პარკირების ადგილებით. რაც შეეხება ავტომობილის ფერს, განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის ამა თუ იმ ქალაქის „სავიზიტო ბარათი" და შესაბამისად, მიღებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ერთი კონკრეტული ფერი, თეთრი ფერის უპირატესობა კი არის ის, რომ მასზე რეკლამა გაცილებით კარგად ჩანს, ვიდრე სხვა ფერზე. მისი თქმით, ტაქსის მძღოლების ის სეგმენტი, რომელთა სატრანსპორტო საშუალება არ ჯდება ახალი რეგულაციებით განსაზღვრულ სტანდარტებში, იქნება განაწყენებული, თუმცა გაცილებით მეტია იმ ადამიანების და მათ შორის, როგორც ტაქსის მძღოლების, ასევე მგზავრების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილები არიან აღნიშნული რეფორმით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის

მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: საბა ფიფია

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების

დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

10. „ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21“-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

11. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ.: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

12. „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

13. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ.: 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

14. „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა (ამჟამად კოტე აფხაზის ქუჩა) N4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის“ (ს/ნ.: 204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

15. „ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ.: 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

16. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის“ (ს/ნ.: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

17. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ.: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

18. „ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, N34ᵃ-ს მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ.: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

19. „ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის" (ს/ნ.: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

20. „ქალაქ თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

21. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

22. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N№01.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

23. „ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

24. „ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ᵃ და N20ᵃ კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

25. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

26. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

27. „ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.011.045) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

28. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

29. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

30. „ქალაქ თბილისი, თემქის დასახლება, კვარტალი Xბ-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.120) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

31. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N416-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

32. „ქ.თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

33. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ.: N205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის N07.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ნანული ჭიაურელს (პ/ნ.: 01024043431) შორის 2010 წლის 20 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ.: 01024043431) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

35. „ქ.თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.054) და ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის

(ს/კ.: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს „კასს პარკინგი"-სთვის (ს/ნ.: 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე

36. „ქ.თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ.N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.18.01.002.021; N01.18.01.002.020 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს N258 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

37. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

38. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

39. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის" ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

40. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

41. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

42. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

43. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

44. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

45. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

46. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

47. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

48. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

49. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

50. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, განისაზღვრა ქუჩები, სადაც ავტობუსები გაჩერდებიან მხოლოდ კონკრეტულ ადგილებში. დღეს მოქმედი რეგულაციით, განსაზღვრულ 14 ქუჩას ემატება კიდევ 12 ქუჩა, რაც იწვევს რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი ავტობუსების მოძრაობის დამტკიცებულ მარშრუტებში ცვლილებების განხორციელებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, განისაზღვრა ქუჩები, სადაც ავტობუსები გაჩერდებიან მხოლოდ კონკრეტულ ადგილებში. დღეს მოქმედი რეგულაციით, განსაზღვრულ 14 ქუჩას ემატება კიდევ 12 ქუჩა, რაც იწვევს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, ავტობუსების მოძრაობის დამტკიცებულ მარშრუტებში ცვლილებების განხორციელებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, განისაზღვრა ქუჩები, სადაც ავტობუსები გაჩერდებიან მხოლოდ კონკრეტულ ადგილებში. დღეს მოქმედი რეგულაციით, განსაზღვრული იყო 14 ქუჩა, რასაც ემატება კიდევ 12 ქუჩა. აქედან გამომდინარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ახალი სამართლებრივი აქტის მიღება, რომლითაც განისაზღვრება M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსების გაჩერების ადგილები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული პირებისთვის შეღავათიანი მგზავრობა გახდება უფასო.

ირაკლი ზარქუას თქმით, წარმოდგენილი ინიციატივა ეკუთვნის საკრებულოს წევრს ლილე ლიპარტელიანს, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მას. მადლობა გადაუხადა ასევე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს, რომლებმაც გაიზიარეს აღნიშნული ინიციატივა და ყველა კოლეგას, ვინც მხარს დაუჭერს წარმოდგენილ ცვლილებას.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა როგორც ლილე ლიპარტელიანს, ასევე თითოეულ კოლეგას, რომელსაც არაერთხელ გაუჟღერებია აღნიშნული ინიციატივა და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

ლილე ლიპარტელიანმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და მერიის შესაბამის სამსახურებს და აღნიშნა, რომ მას ასევე, აქვს კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული პირებისთვის სადაზღვევო პაკეტის შეთავაზებას ან ერთჯერადი ჯანმრთლეობის კვლევის ჩატარებას.

ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტს აქვს სხვადასხვა უფასო პროგრამები, რომელში ჩართვაც შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ექნება ამის საჭიროება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება ვერ მოასწრო, მხარს უჭერს წარმოდგენილ ცვლილებებს და ითხოვა დაფიქსირება, რომ გადაწყვეტილების მიღების მომხრეა.

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო

სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შტატების გადანაცვლება იურიდიული საქალაქო სამსახურში, კერძოდ, ადმინისტრაციული დავებისა და სამართლებრივი აქტების განყოფილებიდან პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატი გადადის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილებაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე საბა ფიფიამ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, ზუსტდება და გაიმართება დადგენილების 21[1] მუხლი, რომელიც არეგულირებს დიდტანიანი ხეების გადარგვის წინაპირობებს. როგორც ტექსტში, ასევე, სათაურში ზუსტდება და ტერმინთა განმარტებაში დაკონკრეტდება რომ დიდტანიანი ხეების დიამეტრი აღემატება 25სმ.-ს. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისის რეკომენდაციის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება. ასევე, კომისია მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დადგენილების პროექტის პირველ მუხლში უნდა მიეთითოს, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ნაცვლად თავად დადგენილების მუხლებისა, ხორციელდება დადგენილების დანართი N1-ით დამტკიცებულ წესში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებში რეგისტრაციის უპირატესობით, სხვა პრიორიტეტულ

ჯგუფებთან ერთად, ისარგებლებენ მარტოხელა მშობლების შვილებიც. რაც ნიშნავს იმას, რომ მარტოხელა მშობლები, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის რეგისტრაციისას, ისარგებლებენ იმ უპირატესობით, რომლითაც აქამდე სარგებლობდნენ: სოციალურად დაუცველი 100000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები; სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"–ს ფილიალის, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები; ის ბავშვები, რომელთა და-ძმაც უკვე სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით და 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის ბავშვები.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ ჩართული იყო აღნიშნული პროექტის შემუშავების პროცესში და რომ წარმოდგენილი ცვლილება მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებული პირებისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემის ვადის გაგრძელება 2019 წლის ბოლომდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21"-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ 2010 წელს, ამხანაგობამ აუქციონის წესით შეიძინა მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობების და საბავშვო ბაღის აშენების ვალდებულებით. ამ ეტაპზე, ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ქონება სრულად არის იპოთეკით დატვირთული მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. წარმოდგენილია ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის და საზაფხულო ფართის იპოთეკით დატვირთვის ვალდებულების გაუქმება იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვიდან შემოსული თანხები სრულად იქნება მიმართული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისკენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ.: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში პანდუსის მოწყობის მიზნით.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელიც ეხება ღია კაფეს მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთების გადაცემას და განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით, სასურველია შემუშავდეს ერთიანი სისტემა, რათა თავიდან იქნას აცილებული ტროტუარების ისე ათვისება, რომ ფაქტობრივად აღარ დარჩეს საფეხმავლო სივრცე.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ შენიშვნა მისაღებია, თუმცა დღეს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მიწის ნაკვეთების გადაცემა ხორციელდება მხოლოდ საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ. ხოლო იქ, სადაც რამდენიმე წელია უკვე გადაცემულია მიწის ნაკვეთი და თითქმის სრულად არის ათვისებული ტროტუარი, მიმდინარეობს მუშაობა ხარვეზის გამოსასწორებლად.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა, თუმცა ასეთი გადაწყვეტილებები დროებითია და მუნიციპალიტეტს ნებისმიერ დროს, მოთხოვნის საფუძველზე, შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ბექა დავითულიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება მონიტორინგის წარმოება ნებართვის გაცემის და კონტროლის დონეზე იმისთვის, რომ განთავსებულმა დროებითმა კონსტრუქციამ არც ქუჩები დამახინჯოს და არც ფეხით მოსიარულეებს შეუქმნას დისკომფორტი. საერთოდ აკრძალვა, რა თქმა უნდა, არ არის მიზანშეწონილი, რადგან ყველა განვითარებულ ქალაქში გამოყოფილია მსგავსი ტიპის არეალები.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის გადაცემისას, თუმცა რაც შეეხება კონტროლს, „ქონების მართვის სააგენტო" ვერ განახორციელებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ ჯიხურების განთავსების პრობლემის მოგვარების მიზნით, 2018 წლის 31 მარტს 21 პირს და 4 კომპანიას შეუწყდა იჯარით სარგებლობის უფლება, თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ისინი დღესაც ინარჩუნებენ უძრავ ქონებას და ახორციელებენ საქმიანობას. ერთის მხრივ, საკუთრებაში არსებული

ქონებიდან შემოსავლის მიღების მიზნით და მეორეს მხრივ, მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მხრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ზემოთაღნიშნულ პირებს და კომპანიებს ქონებით სარგებლობის ვადა გაუგრძელდეთ 2019 წლის 31 ივლისამდე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოგვარების პარალელურად, თბილისის ძველ უბნებში გაჩნდა „საქართველოს ფოსტის" საკუთრებაში არსებული ძალიან ბევრი ჯიხური, რაც ყურადღებამისაქცევია, რადგან განთავსებულია უნებართვოდ, ამორტიზებულია, ვიზუალი არ შეესაბამება არათუ ტურისტულ ზონას, არამედ ზოგადად ქალაქს და აფერხებს მოძრაობას.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც დავალიანების გამო საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წარდგენილი საგადასახადო დავალება „ქონების მართვის სააგენტოდან" დროულად არ იგზავნება მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, რის გამოც ჯიხურების მფლობელებს ექმნებათ პრობლემები და მიმართა ნინო კვეტენაძეს, რომ ამ საკითხს მიექცეს მეტი ყურადღება და აღნიშნული დაუყოვნებლიც ეცნობოს შესაბამის სამსახურს.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ხშირ შემთხვევაში, საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევს ის გარემოება, რომ თანხის გადარიცხვა ხდება შეცდომით, სხვა ანგარიშზე. ამ ხარვეზის გამოსწორება ითხოვს პროცედურების გავლას ფინანსთა სამინისტროსთან, რასაც თავისთავად, სჭირდება გარკვეული დრო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „ქონების მართვის სააგენტომ" აღადგინა მსგავს სიტუაციაში შეწყვეტილი ყველა საიჯარო ხელშეკრულება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ.: 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა (ამჟამად კოტე აფხაზის ქუჩა) N4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის" (ს/ნ.: 204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო

კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ.: 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ.: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ.: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, N34ª-ს მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ.: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“ (ს/ნ.: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 981 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა 22 ოჯახისთვის, რომელიც 2005-2010 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 54 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N№01.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 25.52 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ᵃ და N20ᵃ კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“

წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 731 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ექვსი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 291 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ხუთი ოჯახისთვის, რომელიც მრავალი წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.011.045) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 315 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ოთხი ოჯახისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 75 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 18 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქალაქ თბილისი, თემქის დასახლება, კვარტალი X8-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.120) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით და არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N416-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 25 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქ.თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა რამდენიმე პირისთვის.

რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები, სადაც დაახლოებით ორი ათეული წელია ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაგან 6 ოჯახს დღეს გადაეცემათ საცხოვრებელი ფართები. იმედი გამოთქვა, რომ ეს პროცესი გაგრძელდება, რადგან ზემოთ აღნიშნულ შენობა-ნაგებობებში საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად გადაცემას ელოდება კიდევ 56 ოჯახი. რამინა ბერაძემ მადლობა გადაუხადა „ქონების მართვის სააგენტოს“ ხელმძღვანელობას გაწეული მუშაობისთვის.

გიორგი ტყემალაძემ მოსახლეობას მიულოცა საცხოვრებელი ფართების დაკანონება და მადლობა გადაუხადა რამინა ბერაძეს, რომელიც რამდენიმე წელია მუშაობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე დამსწრე ერთ-ერთმა დაინტერესებულმა მოქალაქემ მადლობა გადაუხადა რამინა ბერაძეს გაწეული მუშაობის და მოსახლეობის გვერდში დგომისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის“ (ს/კ.: N205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის N07.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია

დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „მწვანე სახლის“ გათავისუფლება, რომელიც წლებია უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის „დღის ცენტრის“ ფუნქციონირებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ნანული ჭიაურელს (პ/ნ.: 01024043431) შორის 2010 წლის 20 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ.: 01024043431) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაკისრებული პირგასამტეხლოსგან მოქალაქის გათავისუფლება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქ.თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.054) და ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ“-ისთვის (ს/კ.: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს „კასს პარკინგი“-სთვის (ს/ნ.: 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ და განმარტა, რომ კომპანიას 49 წლით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფს 150 ადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობას, თუმცა შესაბამისი სამსახურების დასკვნების საფუძველზე, ტექნიკურად შეუძლებელია ამ რაოდენობის საპარკინგე ადგილის მოწყობა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია კომპანიასთან გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებაში რამდენიმე ცვლილების განხორციელება. კერძოდ: საპარკინგე ადგილები 150-დან შემცირებულია 110-მდე; იცვლება გადასახადი, კერძოდ, კომპანია ყოველთვიურად აღარ გადაიხდის 1000 ლარს, რადგან მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორცილედება 1 ლარად; მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, პროექტის წარდგენის ვადა გადავადებულია 2019 წლის 31 დეკემბრამდე; კომპანია გათავისუფლებულია პროექტის წარდგენის ვადის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

ირაკლი ზარქუამ მოითხოვა დაკონკრეტება, წარმოდგენილი ცვლილებებით, იგეგმება თუ არა მიწის ზემოთ რაიმე კომერციული ფართის მშენებლობა.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ კონტრაქტის მიხედვით, ეს არის მიწისქვეშა პარკირებისთვის განკუთვნილი ტერიტორია, ხოლო მიწის ზევით მშენებლობა არ იგეგმება არც არსებული კონტრაქტიდან გამომდინარე და არც წარმოდგენილი ცვლილებებით.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, ხომ არ იგეგმება სამომავლოდ ამ ტერიტორიაზე რაიმე შენობის მშენებლობის შეთანხმება არქიტექტურის სამსახურთან ან კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების გადახედვა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მშენებლობა ვერ დაიგეგმება საკრებულოს გარეშე, რადგან აღნიშნულთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება სწორედ საკრებულომ უნდა მიიღოს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

36. „ქ.თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ.N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.18.01.002.021; N01.18.01.002.020 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს N258 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ორი საკადასტრო ერთეულის დამატება, ფართობით 1621 კვ.მ., რომელზეც დაგეგმილია სპორტული და დასასვენებელი კომპლექსების მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის“ ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

40. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

41. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

42. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

43. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

44. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

45. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

46. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

47. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

48. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

49. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

50. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 9 დადგენილება და 41 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი